

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
„მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბანი
კრედიტი“

2016 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანთ თორნტონ ახვლედიანი
დავით აღმაშენებლის გამზირი 61
0102, თბილისი, საქართველო
ტ.+ 995 322 604 406

Grant Thornton Akhvlediani LLC
61 David Aghmashenebeli Avenue
0102 Tbilisi, Georgia
+ 995 322 604 406
www.grantthornton.ge

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბანი კრედიტის” მფლობელებს

მოდიფიცირებული დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბანი კრედიტის” (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა იმ ეფექტისა, რაც შესაძლოა ფინანსურ ანგარიშგებაზე ქონოდათ საკითხებს, რომლებიც განხილულია “დასკვნის მოდიფიცირების საფუძვლებში” აბზაცში, კომპანიის ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

დასკვნის მოდიფიცირების საფუძვლები

ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის თანხის და შესაბამისად სესხების გაუფასურების ხარჯის სისწორის დასადასტურებლად.

კომპანია საპროცენტო და სხვა შემოსავლებში აღიარებს სესხის გაცემის საკომისიოებიდან მიღებულ შემოსავალს. საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება სესხის გაცემისას საკომისიოს მთლიანი თანხით და არ ხდება მისი სესხის ვადაზე გადანაწილება ეფექტური

საპროცენტო განაკვეთის მეთოდით შემოსავლის აღიარებისათვის, რაც ჩვენი აზრით არ შეესაბამება ფასს-ს.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებითი შენიშვნები სრულად არ ფარავს ინფორმაციის გახსნის იმ მოთხოვნებს რასაც ფასს ადგენს, მათ შორის არ არის წარდგენილი ფინანსური აქტივების (მათ შორის გაცემული სესხების) გაუფასურების ანალიზისთვის მოთხოვნილი ინფორმაცია. აგრეთვე, ზოგიერთ შემთხვევაში ახსნა-განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი ინფორმაცია არ შეესაბამება იმ წესს, რასაც ითხოვს ფასს - ფინანსური ანგარიშგების №22.3 შენიშვნაში წარმოდგენილი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი უჩვენებს მათ დისკონტირებულ ღირებულებებს, როდესაც ფასს ითხოვს ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების ჩვენებას.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პაუსისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე*”. ჩვენ კომპანიისაგან დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“*IESBA Code*”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს კომპანიის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების დაშვებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას)

აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯასა და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.
- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- მოვიპოვებთ სათანადო აუდიტორულ რწმუნებულებას კომპანიის ან ბიზნესის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა აუდიტორული მოსაზრების გამოსახატად. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ კომპანიის აუდიტის ხელმძღვანელობაზე და აუდიტის პროცესის გაძღვლაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჩვენს მიერ გამოხატულ აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე
დირექტორი

ქეთევან ღამბაშიძე
დირექტორი

შპს გრანტ თორნტონ

2017 წლის 10 ნოემბერი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2016 წელი	2015 წელი
საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი	6	258,127	286,024
საპროცენტო და მსგავსი ხარჯი		(388,216)	(382,328)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი / (ხარჯი)		(130,089)	(96,304)
უიმედო ვალების (ჩამოწერა) / აღდგენა	10	(64,901)	336,086
წმინდა საპროცენტო შემოსავალი / (ხარჯი) დანაკარგების შემდგომ		(194,990)	239,782
მოგება/(ზარალი) უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული გადაფასებებიდან		74,178	(139,716)
მოგება/(ზარალი) უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან		(3,581)	(230,462)
თანამშრომლების ანაზღაურების ხარჯი		(164,528)	(186,105)
ცვთვის ხარჯი		(7,805)	(8,796)
ამორტიზაციის ხარჯი		(2,858)	(2,851)
სხვა ხარჯები	7	(68,687)	(178,434)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(368,271)	(506,582)
მოგების გადასახადის ხარჯი	8	658	8,027
წლის მოგება		(367,613)	(498,555)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის განმავლობაში მიღებული სრული შემოსავალი		(367,613)	(498,555)

5-37 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2017 წლის 10 ოქტომბერს და ხელი მოეწერა კომპანიის გენერალური დირექტორისა და მთავარი ბუღალტრის მიერ.

გენერალური დირექტორი
 ვახტანგ ჩიქოვანი

მთავარი ბუღალტრი
 რიმა დოლიძე

თანდართული შენიშვნები 9-37 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი	2014 წლის 31 დეკემბერი
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	9	34,453	85,152	70,349
კლიენტებზე გაცემული სესხები	10	1,297,686	1,428,072	1,172,397
ძირითადი საშუალებები	11	18,040	25,625	29,746
საინვესტიციო ქონება	12	462,248	431,119	414,105
არამატერიალური აქტივები		3,525	6,383	9,234
გადავადებული მოგების გადასახადი	8	8,468	7,810	-
სხვა აქტივები	13	58,810	27,558	389,663
სულ აქტივები		1,883,230	2,011,719	2,085,494
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	14	3,570,810	3,436,449	2,800,695
გადასახდელი პროცენტები		129,872	59,837	66,908
გადავადებული მოგების გადასახადი		-	-	217
სხვა ვალდებულებები	15	73,716	38,987	242,674
გადასახდელი მიმდინარე მოგების გადასახადი		-	-	-
სულ ვალდებულებები		3,774,398	3,535,273	3,110,494
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	16	332,600	332,600	332,600
დამატებითი შენატანები კაპიტალში		35,424	35,424	35,424
გაუნაწილებელი მოგება		(2,259,193)	(1,891,578)	(1,393,024)
სულ საკუთარი კაპიტალი		(1,891,169)	(1,523,554)	(1,025,000)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,883,229	2,011,719	2,085,494

5-37 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2017 წლის 10 ოქტომბერს და ხელი მოეწერა კომპანიის გენერალური დირექტორისა და მთავარი ბუღალტრის მიერ.

გენერალური დირექტორი
 ვახტანგ ჩიქოვანი

მთავარი ბუღალტერი
 რიმა ლოლიძე

თანდართული შენიშვნები 9-37 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი	აქციონერთა კაპიტალი	დამატებითი კაპიტალი	აკუმულირე- ბული მოგება	სულ
2015 წლის 1 იანვრი	332,600	35,424	(1,393,024)	(1,025,000)
წლის მოგება / (ზარალი)	-	-	(498,555)	(498,555)
სულ სრული შემოსავლები	-	-	(498,555)	(498,555)
2015 წლის 31 დეკემბრი	332,600	35,424	(1,891,579)	(1,523,555)
წლის მოგება	-	-	(367,613)	(367,613)
სულ სრული შემოსავლები	-	-	(367,613)	(367,613)
2016 წლის 31 დეკემბრი	332,600	35,424	(2,259,192)	(1,891,168)

თანდართული შენიშვნები 9-37 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	2016 წელი	2015 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მსესხებლებისაგან მიღებული პროცენტები	455,567	405,254
სესხის ძირი თანხის დასაფარად მიღებული სახსრები	371,628	578,515
დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან მიღებული სახსრები	-	441,103
სხვა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სახსრები	-	17,464
გაცემული სესხები	(371,628)	(578,515)
გადახდილი ხელფასები	(121,290)	(138,105)
ბიუჯეტისთვის გადახდილი სახსრები	(49,445)	(155,729)
კომუნალური გადასახადები	(7,355)	(3,156)
იჯარაში გადახდილი სახსრები	(24,317)	(26,030)
საბანკო სერვისები	(978)	(620)
სხვა გადახდილი სახსრები	(86,938)	(29,931)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	165,244	510,250
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესასყიდად გადახდილი სახსრები	(220)	(4,675)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(220)	(4,675)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	314,084	723,370
გადახდილი პროცენტები	(316,995)	(438,033)
დაბრუნებული სესხები	(209,522)	(768,448)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(212,433)	(483,111)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(კლება)	(47,409)	22,464
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	85,152	70,349
საკურსო სხვაობები	(3,291)	(7,661)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	34,452	85,152

თანდართული შენიშვნები 9-37 გვერდებზე წამოაადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბანი კრედიტი” (შემდგომში “კომპანია”) დარეგისტრირდა 2010 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას იპოთეკური და სამომხმარებლო სესხების გაცემა წარმოადგენს. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში. კომპანიას არ გააჩნია ფილიალები. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი.გაგარინის I შესახვევი, 4. ფაქტიური: თბილისი, მახაბელის ქ. №4

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 6 თანამშრომელს (2015: 6 თანამშრომელი).

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირია (იგივე სტრუქტურა იყო 2015 წელს):

აქციონერი	წილი
აბესალომ შავგულიძე, საქართველო	49.00%
ედვარდ ფოუფ, დიდი ბრიტანეთი	51.00%
სულ	100.00%

2 საქართველოს ბიზნეს გარემო

საქართველო ჯერ კიდევ განიცდის ცვლილებებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში. როგორც განვითარებად ეკონომიკაში, საქართველოში ბიზნეს და რეგულირებადი ინფრასტრუქტურის დონე უფრო დაბალია ვიდრე განვითარებულ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკებში. გარდა ამისა, ეკონომიკური ფაქტორები განაგრძობს ოპერაციათა შეზღუდვას ფინანსურ ბაზრებზე, რომლებმაც, შეიძლება ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სამართლიანად ვერ ასახონ.

სამომავლო ეკონომიკური განვითარების მთავარ სირთულეს წარმოადგენს ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე, აგრეთვე საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც აღინიშნება უფრო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. რეპორტის გამოშვების თარიღისათვის არსებული კრიზისი საქართველოში ნაკლებად საგრძნობია. თუმცა, ბაზარზე უფრო ძლიერი კრიზისის შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკა და ასევე კომპანია შესაძლოა დაზარალდეს, და ეს გავლენა შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. შესაძლო ეფექტი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიაზე არის ის, რომ შესაძლოა კომპანია გადახდისუნარო გახდეს კრედიტორების მიმართ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის რეპუტაციაზე და პრობლემური გახადოს დამატებითი ფონდების (სახსრების) მოძიება. მითუმეტეს, როდესაც გაურკვეველობა გულისხმობს მსგავს ცვალებადობას, კომპანიის

ხელმძღვანელობას არ შეუძლია შეაფასოს, თუ რა გავლენა შეიძლება განიცადოს კომპანიის აქტივებმა და ვალდებულებებმა.

შესაბამისად, კომპანიის ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს კორექტირების ეფექტს, რომელიც შესაძლოა მიჩნეულიყო, როგორც აუცილებლობა, იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ აღწერილი ფაქტორების ეფექტი გახდებოდა შესამჩნევი და საიმედოდ შეფასებადი საქართველოში.

3 შედგენის საფუძველი

3.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს (“ბასსს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

3.2 გაანგარიშების საფუძველი

სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულებით არის წარდგენილი აგრეთვე გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულების შეფასება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ასეთი აქტივები წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება ამორტიზირებული ღირებულებითაა წარდგენილი. არაფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარდგენილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

3.3 ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა გამოყენებული ძირითად ეკონომიკურ გარემოში, სადაც საქმიანობს კომპანია. კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში “ლარი”), როგორც ვალუტა რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს. კომპანია აწარმოებს აღრიცხვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები, ისევე როგორც საერთაშორისო ფინანსურ აღრიცხვასთან შესაბამისობაში მოსაყვანად საჭირო კორექტირებები და რეკლასიფიკაციები მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

3.4 ახალი და განახლებული სტანდარტები

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბუჯოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახდილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2016 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

ახალი ან გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2016 წლის 1 იანვრიდან

განახლებები ფასს 16-ში “ძირითადი საშუალებები” და ფასს 38-ში “არამატერიალური აქტივები”: ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვის მისაღები მეთოდების დაზუსტება.

განახლებები ფასს 16-ში “ძირითადი საშუალებები” და ფასს 38-ში “არამატერიალური აქტივები” აზუსტებს, რომ შემოსავალი ასახავს იმ ეკონომიკური სარგებლის ხასიათს, რომელსაც კომპანია იღებს ბიზნესის ოპერირებიდან (კომპანიის საქმიანობაში აქტივები მხოლოდ საქმიანობის ნაწილს წარმოადგენენ) და არა აქტივის გამოყენებიდან მისაღები ეკონომიკური სარგებლის ხასიათს. შედეგად, შემოსავალზე დამყარებული მეთოდის გამოყენება არ შეიძლება ძირითადი საშუალებების ცვეთის დასათვლელად, ხოლო არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის დასათვლელად ასეთი მეთოდი მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევებში შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ეს განახლება არ ახდენს გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშზე, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია არ იყენებს შემოსავლებზე დაყრდნობით ცვეთის გაანგარიშებას.

განახლებები ბასს 16-ში ძირითადი საშუალებები და ბასს 41-ში ბიოლოგიური აქტივები: მსხმოიარე ნარგავებთან დაკავშირებით

კომპანია არ ფლობს მსხმოიარე ნარგავებს, შედეგად ეს განახლება მისი ფინანსური ანგარიშგებისთვის არარელევანტურია.

სტანდარტები, განახლებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არაა ძალაში შესული და რომელთა ადაპტირება ჯერ არ მომხდარა კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, ზოგიერთი ახალი სტანდარტი, შესწორება და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაცია, გამოქვეყნებული IASB –ს მიერ, ჯერ არაა ძალაში შესული და მათი ადაპტირება არ მომხდარა კომპანიის მიერ.

ხელმძღვანელობა მოელის, რომ ყველა შესაბამისი დებულება იქნება დანერგული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მათი ძალაში შესვლის შემდეგ პირველივე სააღრიცხვო პერიოდში. ინფორმაცია, ახალ სტანდარტებზე, შესწორებებსა და ინტერპრეტაციებზე, რომლებიც შეესაბამება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას, მოცემულია ქვემოთ. სხვა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოცემულია, მოსალოდნელია, რომ გავლენას არ იქონიებს კომპანიის ანგარიშებზე.

ცვლილებები ბასს 12-ში, მოგების გადასახადი

IASB-მა გამოუშვა დოკუმენტი *გადავადებული სავადასახადო აქტივის აღიარება არარეალიზებული ზარალისათვის*, რომლითაც მცირე მასშტაბის ცვლილებები შევიდა ბასს 12-ში, “მოგების გადასახადი”. ამ განახლების მიზანია განსაზღვროს თუ როგორ აღირიცხოს გადავადებული მოგების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრულ სასესხო ინსტრუმენტებთან. ნაწილობრივ, სადაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შემცირება იწვევს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შემცირებას. ცვლილებები აზუსტებენ შემდეგ ასპექტებს:

- არარეალიზებული ზარალი სასესხო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო საგადასახადო მიზნებისთვის აისახება თვითღირებულებით, წარმოშობს გამოქვითვად ღრობით სხვაობას, მიუხედავად იმისა, ამ ინსტრუმენტის მფლობელი მის გაყიდვას აპირებს თუ გამოყენებას;
- აქტივის საბალანსო ღირებულება არ გვზღუდავს სავარაუდო მოგების გადასახადის განსაზღვრებაში;
- განსაზღვრული მომავალი დასაბეგრი მოგება არ შეიცავს იმ საგადასახადო გამოქვითვებს, რომლებიც წარმოქმნილია გამოსაქვითი ღრობითი სხვაობების შებრუნებით.
- კომპანიამ უნდა განსაზღვროს საგადასახადო კოდექსის შეზღუდვები დასაბეგრი მოგების იმ წყაროზე, რომლებსაც შეუძლიათ შეამცირონ გამოსაქვითი ღრობითი სხვაობების შებრუნება. თუ საგადასახადო არ შემოიღებს ამგვარ შეზღუდვას, მაშინ კომპანიას შეეძლება ეს ღრობითი გამოქვითვადი სხვაობა შეაფასოს სხვა ღრობით გამოსაქვითი სხვაობებთან ერთად.

ცვლილებები ეფექტური იქნება 2017 წლის 1 იანვრიდან და მათი გამოყენება მოითხოვება რეტროსპექტულად. ხელმძღვანელობა ამ ცვლილებებისგან არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე 2017 წლიდან ფინანსურ ანგარიშგებაში გადავადებული გადასახადების აღიარება აღარ მოხდება, რადგან აღარ იარსებებს ის ფაქტორები რაც გადავადებულ გადასახადებს წარმოშობდა.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები (2014)

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები (2014)*-თან დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 *ფინანსური ინსტრუმენტები*: აღიარება და შეფასება. ახალი სტანდარტი მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე და შემოაქვს ახალი განსაზღვრება “მოსალოდნელი ზარალი” ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9 ასევე გვთავაზობს ახალ აღრიცხვას ჰეჯირებაზე.

ახალი სტანდარტის გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან.

კომპანიის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 აწესებს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოითხოვს იჯარა აღრიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი “გამოყენების უფლებით” და იჯარის ვალდებულება.

ფასს 16 ასევე:

- ცვლის იჯარის განმარტებას;

- აწესებს მოთხოვნებს, თუ როგორ აღვრიცხვით აქტივი და ვალდებულება, ასევე რთული საკითხები, როგორებიცაა არასაიჯარო ელემენტები, ცვლადი იჯარის გადასახადები და ოპციის პერიოდი;
- ითვალისწინებს გამონაკლისებს მოკლევადიან იჯარაზე და დაბალფასიანი აქტივების იჯარებზე;
- ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უკუიჯარის გარიგებებზე;
- ძირითადად ინარჩუნებს ბასს 17-ის მიდგომას;
- გვაცნობს ახსნა განმარტებითი შენიშვნების ახალ მოთხოვნებს.

ფასს 16 ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტის ამ ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ფასს 15 *შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან*. ხელმძღვანელობას ჯერ არ შეუფასებია ამ ცვლილების გავლენა ფინანსურ ნაგარიშგებაზე.

ფასს 15 *შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან*

ფასს 15 წარმოადგენს ახალ მოთხოვნას რეალიზაციის აღიარებასთან დაკავშირებით და იგი ანაცვლებს ბასს 18-ს *ამონაგები*, ბასს 11-ს *სამშენებლო კონტრაქტები* და სხვა რეალიზაციასთან დაკავშირებულ სტანდარტებს. ახალი სტანდარტი საუბრობს კონტროლთან დაკავშირებულ რეალიზაციის მოდელზე და იძლევა ისეთ დეტალებზე განმარტებებს, რაც სხვა ფასს-ებში არ იყო აქამდე დაფარული. მათ შორის, როგორ აღრიცხოს ბუღალტრულად მრავალპროფილიანი ვალდებულებები, ფასების ცვალებადობა, მომხმარებლების დაბრუნებული უფლებები, მომწოდებლების გამოსყიდული ოფციები და სხვა კომპლექსური საკითხები.

ფასს 15 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

4 ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ მოყვანილია ფინანსური ანგარიშგების შედგენისას კომპანიის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინა წლებშიც.

4.1 შემოსავლების და ხარჯების აღიარება

შემოსავალი აღიარდება როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს გარიგებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს და როდესაც ამ სარგებლის თანხის საკმარისად საიმედოდ განსაზღვრა შესაძლებელია. ხარჯები აღიარდება როდესაც მოსალოდნელია, რომ გარიგების შედეგად კომპანიიდან მოხდება ეკონომიკური სარგებლის გაღიზება და როდესაც ამ სარგებლის თანხის საკმარისად საიმედოდ განსაზღვრა შესაძლებელია. შემოსავლის აღიარებისთვის ასევე უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ქვემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმებიც:

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი ყველა ფინანსური აქტივისთვის, გარდა ფინანსური აქტივებისა, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ვაჭრობისთვის გამიზნული ფინანსური აქტივი ან როგორც ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალზე, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც “საპროცენტო შემოსავლები” და “საპროცენტო ხარჯები”, რომლებიც განსაზღვრულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

როდესაც ფინანსური აქტივის, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის, საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, მაშინ საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიყენებით ახალ (შემცირებულ) საბალანსო ღირებულებაზე.

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

სესხის გაცემის საკომისიო, რომელიც წარმოიშობა სესხის გაცემის მომენტში გადავადებულია (ყველა პირდაპირ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც ამ სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესწორება. სხვა შემოსავლები და ხარჯები აღრიცხულია დარიცხვის მეთოდით როცა მომსახურება იქნა გაწეული. პორტფელის მართვის და სხვა საკომისიოები აღრიცხულია მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით.

4.2 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2016 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6468 ლარს (2015 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.3949 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.3 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (სხვა ვიდრე ბიზნეს კომბინაცია), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და ჯგუფს განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

4.4 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში არსებული ფულისგან, სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული სახსრებისაგან, მათ შორის მაღალლიკვიდური ინვესტიციისაგან შეძენის დღიდან 90 დღიანი დაფარვის პერიოდით, რომელთა ფულად გადაქცევა მოხდება მოკლე პერიოდში და რომელიც დაკავშირებულია მინიმალურ რისკთან ფულად გადაქცევის დროს.

ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

4.5 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეძენისა და რეალიზაციის სტანდარტული ოპერაციები აღირიცხება ანგარიშსწორების თარიღით. ფინანსური ინსტრუმენტების შეძენა, რომელიც სრულდება მომდევნო დღეს და რომლებიც მომავალში სამართლიანი ღირებულებით იქნება აღრიცხული, შეთანხმების თარიღსა და ანგარიშსწორების თარიღს შორის, აღირიცხებიან ისევე, როგორც შეძენილი ინსტრუმენტები.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომელთა სამართლიანი ღირებულების ცვლილება მოგება-ზარალში აღიარდება. ეს უკანასკნელნი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა იმ ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის წარდგენილი მათი

სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით, აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული ამორტიზირებული ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის წარდგენილი მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით, წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგ კატეგორიებად აკლასიფიცირებს: ფინანსური აქტივები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის წარდგენილი მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით; დაფარვის ვადაზე ფლობილი ფინანსური აქტივები; სესხები და დებიტორული მოთხოვნები და გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. ფინანსური ინსტრუმენტის კონკრეტულ კატეგორიაზე მიკუთვნება ხდება კომპანიის მენეჯმენტის მიერ ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებისას გამომდინარე ამ ინსტრუმენტის შეძენის მიზნებიდან. შემდგომში ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საჭიროებისა და შესაძლებლობის მიხედვით გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, დადგენილი ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კოტირდებიან აქტიურ ბაზარზე და ფინანსური აქტივების აღნიშნული კატეგორია მოიცავს კლენტებზე გაცემულ სესხებს, დებიტორულ და სხვა მოთხოვნებს, ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

დაფარვის ფიქსირებული ვადის მქონე სესხების პირველადი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანზაქციის ხარჯები. იმ შემთხვევაში, როდესაც გაცემული სახსრების სამართლიანი ღირებულება განსხვავდება სესხის სამართლიანი ღირებულებისგან, მაგალითად თუ სესხი გაცემულია ბაზარზე არსებულ განაკვეთზე უფრო დაბალ პროცენტში, სხვაობა გაცემული სახსრების სამართლიანი ღირებულებასა და სესხის სამართლიანი ღირებულებას შორის აისახება მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებაში როგორც საბაზრო განაკვეთზე დაბალ პროცენტში განთავსებული აქტივების ხარჯი. შემდგომში სესხების საბალანსო ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. მომხმარებლებზე გაცემული უვადო სესხები იანგარიშება ეფექტური განაკვეთის მეთოდით დაფარვის სავარაუდო ვადის გათვალისწინებით. მომხმარებლებზე გაცემული სესხები ბალანსში წარედგინება სესხების გაუფასურების რეზერვით შემცირებული თანხით.

4.6 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების ან ფინანსური აქტივების ჯგუფების შეფასებას გაუფასურებაზე.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები

ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი მიიჩნევა გაუფასურებულად და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, როგორც აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან რამდენიმე ისეთი მოვლენის შედეგი, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის ღირებულებაზე ან მათგან მისაღები სამომავლო ფულად ნაკადების დროში განაწილებაზე, რომლის (ეფექტის) საკმარისად საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ძირითად ფაქტორებს, რომლებსაც კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის გაუფასურების საკითხის განხილვისას, წარმოადგენს: დებიტორების ან დებიტორთა ჯგუფის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები (მაგ: კაპიტალის თანაფარდობა, სუფთა მოგება როგორც გაყიდვების პროცენტი), სესხების ძირი თანხის, პროცენტის ვადაგადაცილება ან გადაუხდელობა, სასესხო ხელშეკრულების პირობების დარღვევა, უზრუნველყოფის ღირებულების არსებითი შემცირება, ასევე თუ დებიტორებს ემუქრებათ გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია, არსებობს ინფორმაცია მომავალი ფულადი ნაკადების ნეგატიური ცვლილების შესახებ, ეკონომიკური პირობების ცვლილება რომელიც გავლენას ახდენს დებიტორებსა და მათ გადახდისუნარიანობაზე.

კომპანია თავდაპირველად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის, განსაზღვრავს გაუფასურების ობიექტურ ნიშნებს ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანი აქტივებისათვის იყენებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ მიდგომას. გაუფასურების ინდივიდუალური მიდგომის ობიექტური ნიშნების განსაზღვრის შემდგომ, ამგვარი ნიშნების არარსებობის შემთხვევაში, აქტივები ჯგუფდება მსგავსი კრედიტული რისკის მანასიათებლების მიხედვით, რათა მოხდეს გაუფასურების გაანგარიშება ჯგუფური მიდგომის საფუძველზე. ჯგუფური მიდგომის საფუძველზე გაუფასურების დასაანგარიშებლად, ზემოთ აღნიშნულ ჯგუფებში არ განიხილება აქტივები რომელთა გაუფასურებაც ხდება ინდივიდუალური მიდგომით და რომლებზეც იქმნება ან იყო შექმნილი გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში, ამორტიზირებული ღირებულების გათვალისწინებით ზარალის ზრდა განისაზღვრება როგორც სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა მომავალი არარეალიზებადი დანაკარგისა), გაანგარიშებული მოცემული ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით (იგ. აქტივის თავდაპირველი შეფასებისას გაანგარიშებული ეფექტური განაკვეთი). ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, რომელიც აისახება მოგება/ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებაში. მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე დაფარვამდე აქტივებისა და სესხების გაუფასურების გაზომვისათვის გამოიყენება მიმდინარე საკონტრაქტო ეფექტური განაკვეთი. კომპანიას შეუძლია გაუფასურების გაზომვა ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით საბაზრო ფასებზე დაკვირვების გამოყენებით.

უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების შეფასება ასახავს ფულად ნაკადებს რომელიც შეიძლება წარმოიქმნას უზრუნველყოფის რეალიზებით მის მიღებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, მიუხედავად უზრუნველყოფის კომპანიის საკუთრებაში გადმოსვლის ალბათობისა.

ფინანსური აქტივების ჯგუფური მიდგომით გაუფასურების მიზნებისათვის, კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების დაჯგუფებას შიდა შეფასების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის ისეთ მანასიათებლებს როგორცაა: აქტივების ტიპები, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, სესხის ვადაგადაცილება და სხვა მაჩვენებლები.

კოლექტიურად გაუფასურებისათვის განხილული ფინანსური აქტივების ჯგუფში არსებული მომავალი ფულადი ნაკადები, განისაზღვრებიან საკონტრაქტო ფულადი ნაკადების სასფუძველზე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ანალოგიური საკრედიტო მაჩვენებლების მქონე აქტივებთან და ხელმძღვანელობის ხელთ არსებულ სესხების ისტორიული

დანაკარგების სტატისტიკასთან. წინა წლების სტატისტიკა კორექტირდება ამჟამინდელი მონაცემებით, მიმდინარე პირობების ასახვისა (რომლებმაც ასახვა ვერ პოვეს წინა პერიოდის დაკვირვებებში) და ასევე წარსული მოვლენების ეფექტის აღმოსაფხვრელად (რომლებიც აღარ არსებობენ მიმდინარე პერიოდში).

მომავალი ფულადი სახსრების შეფასების ცვლილება ფინანსური აქტივების ჯგუფისათვის ასახავს და შეესაბამება პერიოდებს შორის დაკვირვებული ინფორმაციის ცვლილებებს (მაგ: ცვლილება უმუშევრობის მონაცემებში, ქონების ფასებში, გადახდების სტატუსში, ან სხვა ფაქტორებში რომლებიც მიუთითებენ ჯგუფის შესაძლო დანაკარგების სიდიდეს). კომპანია პერიოდულად ახდენს, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისათვის გამოყენებული, მეთოდებისა და დაშვებების გადახედვას, რათა შეამციროს სხვაობა შეფასებულ შესაძლო დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის.

სესხები გაუფასურების რეზერვებთან ერთად ჩამოიწერება იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს მომავალში იმის მოლოდინი, რომ ეს სესხი დაიფარება და შესაბამისად ყველა უზრუნველყოფა რეალიზებულ ან გადაცემულ იქნა კომპანიის საკუთრებაში.

თუ გაუფასურების აღიარების შემდეგომ მომხდარი რაიმე მოვლენის შედეგად გაუფასურების ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, მაშინ მანამდე აღიარებული გაუფასურება დაკორექტირდება გაუფასურების რეზერვის ჩასწორებით. ჩამოწერილი სესხის მომავალში აღდგენის შემთხვევაში, მისი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის დაკრედიტებით.

4.7 ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსურ აქტივების (ან ფინანსური აქტივების ნაწილის, ფინანსური აქტივების ჯგუფის, მსგავსი აქტივების) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურა;
- კომპანიამ სხვას გადასცა უფლება მიიღოს ფულადი სახსრების ნაკადები ან დაიტოვა ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო უფლება თუმცა ამასთანავე აიღო დაუყოვნებლივ გადახდის ვალდებულება მესამე მხარესათვის გადაცემის პირობების შესაბამისად.
- კომპანიამ ან ა) სხვა საწარმოს გადასცა ფინანსური აქტივები და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები, ან ბ) გადასცა ფინანსურ აქტივზე კონტროლის უფლება, თუმცა არ გადასცა და არც დაიტოვა ფინანსური აქტივები და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები.

თუ კომპანიამ გაასხვისა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადასცა, ასევე არ შეინარჩუნა მნიშვნელოვანი ნაწილი ყველა შესაძლო რისკისა და სარგებლისა, ასევე არ გადასცა აქტივის კონტროლის უფლება, აქტივი აღიარდება მასში კომპანიის მომავალი მონაწილეობის პროპორციულად. როდესაც გაგრძელებადი მონაწილეობა იღებს გადაცემული აქტივის საგარანტიო უზრუნველყოფის ფორმას, ორგანიზაციის ამგვარი მონაწილეობის ხარისხი განისაზღვრება შემდეგი ორი სიდიდიდან უმცირესით: 1) აქტივის ღირებულება და 2) ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა რომელიც შეიძლება გამოთხოვილ იქნას კომპანიისგან.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როცა ვალდებულება ჩამოწერილია, გაუქმებულია ან მოქმედების ვადა ამოწურულია.

როცა არსებული ფინანსური ვალდებულება იცვლება სხვა ფინანსური ვალდებულებით, იგივე კრედიტორისადმი, მაგრამ მნიშვნელოვნად განსახვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ვალდებულების მნიშვნელოვნად მოდიფიცირება, ასეთი გაცვლა ან პირობების შეცვლა აღიარდება როგორც პირველადი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახლის აღიარება. სხვაობა დაფარული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ახალი ვალდებულების ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებაში.

4.8 ფინანსური იჯარა და საოპერაციო იჯარა

ფინანსური იჯარა – კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია იჯარის დაწყების თარიღში აღიარებს ფინანსურ იჯარას როგორც აქტივს და ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში საიჯარო ქონების სამართლიანი ღირებულებით, ან მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით, თუკი ეს თანხა საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებაზე ნაკლებია. მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისთვის დისკონტირების ფაქტორად გამოიყენება იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი, როდესაც შესაძლოა მისი განსაზღვრა, სხვა შემთხვევაში კი გამოიყენება მოიჯარისთვის ხელმისაწვდომი სესხის საპროცენტო განაკვეთი. ფინანსურ იჯარასთან უშუალოდ დაკავშირებული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის ღირებულებაში. ლიზინგის მინიმალური გადასახდელები აისახება როგორც ფინანსური ხარჯი და გადაუხდელი ვალდებულების შემცირება. ლიზინგით მიღებული აქტივების ფინანსური ხარჯები გადანაწილებულია საიჯარო ვადებზე ისე, რომ დარჩენილი პერიოდის განმავლობაში ვალდებულებების ბალანსში საპროცენტო განაკვეთი მუდმივად შენარჩუნდეს.

ფინანსური იჯარა – კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანია აღიარებს საიჯარო მოთხოვნებს იჯარაზე წმინდა საინვესტიციო ღირებულებით, საიჯარო ვადის დაწყების თარიღით. აღნიშნული ოპერაცია წარმოდგენილია სესხებსა და ავანსებსში. ლიზინგიდან მიღებული ფინანსური შემოსავლი აისახება ლიზინგის ვადის განმავლობაში წმინდა საინვესტიციო მეთოდის გამოყენებით რომელიც ასახავს შემოსავლიანობის მუდმივ დონეს. თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები შედის აქტივის ღირებულებაში.

საოპერაციო იჯარა – კომპანია, როგორც მოიჯარე

თუ იჯარის დროს არ ხორციელდება აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა, მაშინ იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის გადასახადი აისახება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში და შედის საოპერაციო ხარჯებში.

საოპერაციო იჯარა - კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანია წამოადგენს აქტივებს საოპერაციო იჯარად ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში აქტივის ბუნებიდან გამომდინარე. საიჯარო შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში და აისახება როგორც საოპერაციო შემოსავალი. ფასდათმობის საერთო ღირებულება აღიარდება როგორც ქირავნობის შემოსავლის შემცირება საიჯარო პერიოდის განმავლობაში

წრფივ მეთოდზე დაყრდნობით. საწყისი პირდაპირი ხარჯი რომელიც განხორციელდა სპეციალურად შემოსავლის მისაღებად საოპერაციო იჯარიდან დამატებულია საიჯარო აქტივის საბალანსო ღირებულებაზე.

4.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

როდესაც ძირითადი საშუალება შედგება სხვადასხვა კომპონენტებისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებით, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

	სარგებლობის ვადა (წლები)
კომპიუტერული ტექნიკა	5-7
ავეჯი და სხვა	5-7
სხვა ძირითადი საშუალებები	5-7

4.10 არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებში მოიაზრება კომპიუტერული პროგრამები.

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით. შემდგომში არამატერიალური აქტივების აღრიცხვა ხორციელდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. არამატერიალურ აქტივები იყოფა განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადის მქონე აქტივებად.

არამატერიალური აქტივები განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზირდება წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი ექსპლუატაციის ვადის მიხედვით (ამ ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიაში არსებული არამატერიალური აქტივებისათვის ეს ვადა განსაზღვრულია 6 წლით). არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ ხდება და მათი საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო თარიღის ბოლოს გადაინდება გაუფასურების დადგენის მიზნით, აგრეთვე იმ მიზნით, რომ შეფასდეს, ხომ არ გახდა მათი სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრადი. თუკი დადგინდება, რომ ასეთი აქტივი გაუფასურებულია, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარზალში. თუკი დადგინდება, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საკმარისად საიმედოდ განსაზღვრა შესაძლებელია, მაშინ შემდგომ პერიოდებში აქტივის საბალანსო ღირებულების ამორტიზირება ხდება ამ განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

კომპიუტერული პროგრამების მხარდაჭერასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება ხარჯად.

4.11 დასაკუთრებული აქტივები

გარკვეულ შემთხვევებში, სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად ხდება აქტივების დასაკუთრება. დასაკუთრებული აქტივები ფასდება შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებასა და ამ აქტივის რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ მის სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით. დასაკუთრებული აქტივები ჩართულია ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში “სხვა აქტივები”-ს მუხლში.

4.12 მიღებული სესხები

თავდაპირველად მიღებული სესხები აღირიცხება მიღებული სახსრების სამართლიანი ღირებულებით უშუალოდ დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. შემდგომში სასესხო საშუალებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგება ან ზარალი აღიარდება კომპანიის მოგება-ზარალისა და გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებაში, როდესაც წყდება ნასესხები სახსრების აღიარება, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესის საშუალებით.

4.13 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვილება კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის პარტნიორთა მიერ. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს. ყველა ტრანზაქცია რომელიც დაკავშირებულია კომპანიის მფლობელებთან, როდესაც ისინი გვევლინებიან მფლობელების რანგში, აღირიცხება კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში ცალკე მუხლებში. გადასახდელი დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება.

4.14 ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე შემოსავლებისა და ხარჯების, ურთიერთჩათვლა ხორციელდება, და ფინანსურ ანგარიშგებებში აისახება წმინდა ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის კანონიერი უფლება და ამავე დროს არსებობს ურთიერთჩათვლის განხორციელების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს მსჯელობას, შეფასებასა და დაშვებას, რომელიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ კომპანიის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. შეფასებითი ღირებულებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები, რომლებიც ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და კონკრეტულ გარემოებებში

დასაბუთებულად მიჩნეულ სხვა ფაქტორებს, წარმოადგენენ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების განსაზღვრისათვის, რომელთა ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია სხვა საიმედო წყაროებიდან. მიუხედავად იმისა, რომ შეფასების მნიშვნელობა ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ მიმდინარე სიტუაციის აღქმას, საბოლოო ჯამში რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს მიღებული შეფასებებისგან.

ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც საჭიროებენ ხელმძღვანელობის მხრიდან შეფასებას განხილულია ქვემოთ:

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობა იყენებს შეფასების მეთოდებს ფინანსური ინსტრუმენტების (როდესაც აქტივის საბაზრო კოტირებები არ არის ხელმისაწვდომი) და არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით. ეს მოიცავს იმის განსაზღვრასაც, თუ რა შეფასებებს და დაშვებებს გამოიყენებდნენ ბაზრის მონაწილეები ასეთი ინსტრუმენტების შეფასებისათვის. შეფასებების გაკეთებისას ხელმძღვანელობა შეძლებისდაგვარად ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, რომლებიც ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის. სადაც საბაზრო მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის ხელმძღვანელობა იყენებს ყველაზე ხელსაყრელ ინფორმაციას. ნავარაუდები სამართლიანი ღირებულება შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტიური ფასებისგან, რომელიც დამოუკიდებელ მხარეებს შორის გარიგების შედეგად მიიღწევა ანგარიშგების თარიღისთვის (იხილეთ შენიშვნა 19).

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიები ბიზნეს საქმიანობისას ხშირად აწარმოებენ ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ტრანზაქციები ძირითადად ხორციელდება საბაზრო ღირებულებით. აქტიური ბაზრის არარსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებას, რათა განსაზღვროს განხორციელდა თუ არა ოპერაციები საბაზრო თუ საშეღავათო ფასებით. ეს დაშვებები ეფუძნება კლიენტებთან განხორციელებულ კომპლექსურ ოპერაციებს რომლებიც არ წარმოადგენენ დაკავშირებულ მხარეებს და ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. (იხილეთ შენიშვნა 18).

სესხების და მოთხოვნების გაუფასურების დანაკარგების რეზერვი

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ახდენს გაცემული სესხებისა და დებიტორული დავალიანების შეფასებას გაუფასურებაზე. კერძოდ, ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს, როგორც ზარალის სიდიდის განსაზღვრისათვის, ასევე მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდისა და დროის ფაქტორის შეფასებისათვის. მოცემული შეფასებები ეფუძნება რიგი ფაქტორების დაშვებებს და რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს, რის შედეგადაც წარმოიქმნება ცვლილებები გაუფასურების რეზერვში (იხილეთ შენიშვნა 10).

დამატებით, გარდა გაუფასურების ინდივიდუალური მიდგომისა, რომელიც გამოიყენება არსებითი სესხებისა და დებიტორული დავალიანებებისათვის, კომპანია ასევე განსაზღვრავს გაუფასურებას ჯგუფური მეთოდით, იმ რისკის აღმოსაჩენად რომელიც, მართალია არ წარმოადგენს სპეციფიკურ რისკს, თუმცა აღემატება დასაშვებ დონეს სესხების გაცემის მომენტიანთვის. რაც ასახავს ისეთ ფაქტორებს როგორცაა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, ტექნოლოგიის დაძველება და ასევე სტრუქტურული სისუსტეები და ფულადი ნაკადების შემცირება (იხილეთ შენიშვნა 10).

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა წარმოადგენს შედარებით ახალ სისტემას და ხასიათდება კანონმდებლობის სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ხშირად განსჯის საკითხია.

რიგ შემთხვევებში წარმოიქმნება აზრთაშორის სხვაობა სხვადასხვა საგადასახადო და იურიდიულ დაწესებულებებს შორის. გადასახადები წარმოადგენს გადახედვისა და კვლევის საგანს საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც კანონით უფლებამოსილი არიან მოახდინონ ჯარიმებისა და საურაგების დარიცხვა. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები წარმოშობს რისკს საქართველოში უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სათანადოდ ასახავს საგადასახადო ვალდებულებას საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციიდან გამომდინარე (შენიშვნა 17).

6 საპროცენტო და მსგავსი შემოსავლები

საპროცენტო და მსგავსი შემოსავლები შედგება შემდეგი თანხებისაგან:

თანხები მოცემულია ლარში	2016 წელი	2015 წელი
სესხები და ავანსები ფიზიკური პირებისათვის	143,286	149,170
სესხები და ავანსები იურიდიული პირებისათვის	29,641	16,274
საჯარიმო და საკომისიო შემოსავლები	85,200	120,580
სულ საპროცენტო შემოსავლები მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან	258,127	286,024

7 სხვა ხარჯები

თანხები მოცემულია ლარში	2016 წელი	2015 წელი
ოფისის ქირა	24,317	25,725
საწვავის ხარჯი	7,086	6,436
დაცვის ხარჯი	4,224	4,836
საოფისე ინვენტარი	4,006	4,674
კომუნალური ხარჯი	2,866	2,932
საკონსულტაციო ხარჯი	2,000	-
ბანკის საკომისიო ხარჯი	653	760
წარმომადგენლობითი ხარჯი	292	348
გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა	11,889	121,331
სხვა ხარჯები	11,354	11,393
სულ სხვა ხარჯები	68,687	178,434

8 მოგების გადასახადი

თანხები მოცემულია ლარში	2016 წელი	2015 წელი
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი	-	-
გადავადებული გადასახადის ცვლილება	658	8,027
სულ მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი	658	8,027

2016 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენდა 15%-ს (2015 15%). განსხვავებებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებსა და საგადასახადო კანონმდებლობას შორის მიგვაგვართ განსაზღვრულ დროებით სხვაობებამდე რიგი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის მოგების გადასახადის გაანგარიშების მიზნებისათვის. გადავადებული საგადასახადო აქტივები გაინაგარიშება 15%-იანი

საგადასახადო განაკვეთით. გადავადებული გადასახადის გაანგარიშება, დროებით სხვაობებთან მიმართებაში:

ლარი	2016 წლის 1 იანვარი	მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებაში აღიარება 2016 წელი	2016 წლის 31 დეკემბერი
მომხმარებელზე გაცემული სესხები	8,307	1,428	9,735
ძირითადი საშუალებები	(497)	(770)	(1,267)
სულ გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	7,810	658	8,468

ლარი	2015 წლის 1 იანვარი	მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებაში აღიარება 2016 წელი	2015 წლის 31 დეკემბერი
მომხმარებელზე გაცემული სესხები	247	8,060	8,307
ძირითადი საშუალებები	(464)	(33)	(497)
სულ გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	(217)	8,027	7,810

9 ფული და ფულის ექვივალენტები

ლარი	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	3,620	25,866
საბანკო ანგარიშები	30,832	59,286
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	34,453	85,152

10 კლიენტებზე გაცემული სესხები

ლარი	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი
გაცემული სესხები	1,362,587	1,483,450
სესხების გაუფასურების რეზერვი	(64,901)	(55,379)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	1,297,686	1,428,072

გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვში ცვლილება პერიოდის განმავლობაში შედგება შემდეგისაგან:

ლარი	2016 წელი	2015 წელი
1 იანვარი	55,379	1,647
+ საეჭვო ვალების ხარჯი პერიოდში	64,901	55,379
- წინა პერიოდში აღიარებული საეჭვო ვალების ჩამოწერა ხარჯებში	55,379	1,647
- წინა პერიოდში აღიარებული საეჭვო ვალების აღდგენა	-	-
31 დეკემბერი	64,901	55,379

ლარი	2016 წელი	2015 წელი
გაუფასურება ინდივიდუალურ საფუძველზე	64,901	55,379
გაუფასურება ჯგუფურ საფუძველზე	-	-
	<u>64,901</u>	<u>55,379</u>

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე შეადგენდა 24%-96% პროცენტს (2015: 24%-96%)

2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას.

მომხმარებელზე გაცემული სესხების დაფარვის ვადიანობის ანალიზი მოცემულია 21-ე შენიშვნაში.

გაცემული სესხების საკრედიტო, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკების ანალიზი წადრმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

11 ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი	სხვა	სულ
<i>თანხები მოცემულია ლარში</i>				
<i>ღირებულება</i>				
2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8,299	9,420	32,608	<u>50,327</u>
დამატებები	-	-	4,675	<u>4,675</u>
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>8,299</u>	<u>9,420</u>	<u>37,283</u>	<u>55,002</u>
<i>დამატებები</i>				
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	220	<u>220</u>
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>8,299</u>	<u>9,420</u>	<u>37,503</u>	<u>55,222</u>
<i>აკუმულირებული ცვეთა</i>				
2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,957	3,610	12,013	<u>20,581</u>
ცვეთა წლის განმავლობაში	1,710	1,552	5,535	<u>8,796</u>
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>6,667</u>	<u>5,162</u>	<u>17,548</u>	<u>29,377</u>
<i>ცვეთა წლის განმავლობაში</i>				
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	782	1,386	5,637	<u>7,805</u>
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>7,449</u>	<u>6,548</u>	<u>23,185</u>	<u>37,182</u>
<i>საბალანსო ღირებულება</i>				
2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	<u>3,341</u>	<u>5,810</u>	<u>20,595</u>	<u>29,746</u>
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>1,631</u>	<u>4,258</u>	<u>19,735</u>	<u>25,625</u>
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>849</u>	<u>2,872</u>	<u>14,318</u>	<u>18,040</u>

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნდა უზრუნველყოფის სახით ჩადებული ან სხვა რაიმე შეზღუდვის მქონე ძირითადი საშუალებები.

12 საინვესტიციო ქონება

თანხები მოცემულია ლარში	შენობა- ნაგებობები	სულ
<i>ღირებულება</i>		
2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	414,105	414,105
დამატებები	17,014	17,014
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	431,119	431,119
დამატებები	31,129	31,129
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	462,248	462,248

კომპანიის საინვესტიციო ქონება წარმოადგენს კომპანიის მიერ ფლობილ უძრავ ქონებას – თბილისში გაგარინის II შეს. N 6 მდებარე საცხოვრებელ კორპუსში, 1-ელ მე-2-ე სართულზე განლაგებულ 201 კვ. მეტრ ე.წ. “თეთრი კარკასის” მდგომარეობაში მყოფ ფართს. რამდენადაც აქტივი არ არის იმ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება, მას არ ერიცხება ცვეთა.

13 სხვა აქტივები

ლარი	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი
სხვა დებიტორები	26,728	21,477
სულ სხვა ფინანსური აქტივები	26,728	21,477
დასაკუთრებული ქონება	6,082	6,082
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	26,000	-
სულ სხვა არაფინანსური აქტივები	32,082	6,082
გაუფასურების რეზერვი	-	-
სულ სხვა აქტივები	58,810	27,558

დასაკუთრებული აქტივები:

ლარი	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი
უძრავი ქონება	-	-
სატრანსპორტო საშუალებები	6,082	6,082
სულ დასაკუთრებული აქტივები	6,082	6,082

14 მიღებული სესხები

ლარი	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი
სესხები ფიზიკური პირებისაგან	1,941,860	1,661,849
სესხები იურიდიული პირებისაგან	1,628,950	1,774,600
სულ სესხები	3,570,810	3,436,449

წლიური საპროცენტო განაკვეთი ნასესხებ სახსრებზე მერყეობდა 12%-დან 13%-მდე ფარგლებში, რაც დაახლოებით საბაზრო განაკვეთების ტოლია მოცემული პერიოდისთვის.

ყველა მიღებული სესხი მოკლევადიანია.

მიღებული სესხები არ არის კომპანიის რაიმე აქტივებით უზრუნველყოფილი და სასესხო ხელშეკრულებებით არ მოითხოვება რაიმე პირობების, მაგალითად ფინანსური კოეფიციენტების გარკვეული მაჩვენებლების, დაცვა.

დაკავშირებული მხარეებიდან მიღებულ სესხებზე ინფორმაციისათვის იხილეთ შენიშვნა 18.

15 სხვა ვალდებულებები

ლარი	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები სხვადასხვა მომსახურებისა და საქონლის მომწოდებლებისადმი	2,455	981
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,455	981
გადასახდელი გადასახადები	39,509	36,436
გადასახდელი ხელფასები	-	-
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	31,752	1,569
სულ სხვა არაფინანსური ვალდებულებები	71,261	38,005
სულ სხვა ვალდებულებები	73,716	38,987

16 საკუთარი კაპიტალი

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის რეგისტრირებული და შევსებული საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 332,600 ლარს (2015 წლის 31 დეკემბერს: 332,600 ლარი).

საწესდებო კაპიტალი მთლიანად ფულადი სახსრებით იყო შევსებული.

კაპიტალში დამატებითი შენატანები წარმოადგენს იმ თანხებს, რაც ფულადი სახით კომპანიის პარტნიორების მიერ შეტანილი იქნა კომპანიის კაპიტალში, თუმცა საანგარიშგებო თარიღისათვის ჯერ არ იყო ასახული/რეგისტრირებული კომპანიის წესდებაში, როგორც საწესდებო კაპიტალი.

17 პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემას ახასიათებს ნორმების ხშირი ცვლა და ამავე დროს საგადასახადო კოდექსის და კანონმდებლობის ზოგიერთი დებულება შეიძლება არაერთმნიშვნელოვანი და წინააღმდეგობრივი იყოს. ხშირად სხვადასხვა მარეგულირებელი ორგანო ნორმატიული დოკუმენტების ერთსა და იმავე დებულებების სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას იძლევა.

საგადასახადო ორგანოებმა შესაძლოა შეცვალონ მიდგომები სხვადასხვა ოპერაციებისადმი და წარსულში დადგენილისგან განსხვავებული ინტერპრეტაციები გამოიყენონ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩნდება დამატებითი გადასახადების და ჯარიმების დაკისრების რისკი. საგადასახადო შემოწმებამ შეიძლება მოიცვას ანგარიშგების წინა სამწლიანი ან უფრო დიდი პერიოდი.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მათეული ინტერპრეტაცია სწორია და კომპანია იცავს ყველა შესაბამის მოთხოვნას. ხელმძღვანელობას ასევე მიაჩნია, რომ, საგადასახადო შემოწმების შემთხვევაში კომპანიაზე შესაძლო დამატებით დარიცხული გადასახადები და ჯარიმა-საურავები არ იქნება არსებითი და არ გამოიწვევს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების არსებით კორექტირების აუცილებლობას.

18 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის მიხედვით მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, როცა ერთ მხარეს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ აკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მასზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. მოცემული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, დაკავშირებულ მხარეებად მოიაზრებიან აქციონერები, კომპანიის ხელმძღვანელობა, და ასევე მათ მიერ კონტროლირებადი სხვა პირები და ორგანიზაციები.

ქვემოთ მოცემული ცხრილები წარმოადგენს ინფორმაციას დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებზე და ნაშთებზე:

	2016 წელი	2015 წელი
	პარტნიორები	პარტნიორები
<i>მიღებული სესხები</i>		
1 იანვრისთვის	748,551	553,025
ზრდა	147,822	19,526
<u>კლება</u>	-	-
31 დეკემბრისთვის	896,373	748,551
<i>სხვა სრული შემოსავლის ელემენტი</i>		
საპროცენტო ხარჯი	67,855	86,407

კომპანიის ხელმძღვანელების ანაზღაურებამ შეადგინა:

ლარი	2016 წელი	2015 წელი
ხელფასი და სხვა სარგებელი	92,086	68,734
კომპანიის ხელმძღვანელების ანაზღაურება	92,086	68,734

19 სამართლიანი ღირებულების შეფასება

ქვემოთ წარმოდგენილი იერარქია აჯგუფებს ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოყენებულ პირველად მონაცემებს სამი დონის მიხედვით:

- დონე 1: იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იმ აქტიურ ბაზრებზე, სადაც კომპანიას აქვს წვდომა ბალანსის თარიღისთვის.
- დონე 2: ისეთი პირველადი ინფორმაცია აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია, გარდა იმ კოტირებული ფასებისა, რომლებიც შედის დონე 1-ში.
- დონე 3: ისეთი პირველადი ინფორმაცია აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომელიც ღიად ხელმისაწვდომი (დაკვირვებადი) არ არის.

19.1 ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით არ არიან წარდგენილი:

ლარი	2016 წლის 31 დეკემბერი	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	34,453	34,453
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,362,587	1,362,587
სხვა დებიტორები	26,728	26,728
	1,423,768	1,423,768
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	3,570,810	3,570,810
სხვა ვალდებულებები	-	-
	3,570,810	3,570,810
ლარი	2015 წლის 31 დეკემბერი	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	85,152	85,152
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,483,450	1,483,450
სხვა დებიტორები	21,477	21,477
	1,590,079	1,590,079

ლარი	2015 წლის 31 დეკემბერი	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	3,436,449	3,436,449
სხვა ვალდებულებები	-	-
	3,436,449	3,436,449

ფული და ფულის ეკვივალენტები

ერთი თვეზე ნაკლებ ვადიანი აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უთანაბრდება მათ სამართლიან ღირებულებას, ხანმოკლე დაფარვის ვადის გამო. ერთ თვეზე მეტი ვადის მქონე აქტივებისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება, როგორც სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება წლის ბოლოს არსებული განაკვეთების მიხედვით.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები

ფიქსირებული განაკვეთის მქონე სახსრების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალი დადისკონტირებული ფულადი სახსრების გაანგარიშებას, ფულად ბაზარზე ანალოგიური საკრედიტო რისკისა და დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტებისათვის განკუთვნილი, საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. გაუფასურებული სესხების სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ეყრდნობა მათი გაყიდვით მიღებულ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

სხვა დებიტორები

მცოცავი განაკვეთის მქონე სახსრების სამართლიანი ღირებულება უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას. ფიქსირებული განაკვეთის მქონე სახსრების შესაფასებელი სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალი დადისკონტირებული ფულადი სახსრების გაანგარიშებას, ფულად ბაზარზე ანალოგიური საკრედიტო რისკისა და დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტებისათვის განკუთვნილი, საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად.

მიღებული სესხები და კრედიტორული დავალიანებები

მიღებული სესხები და კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას. ფიქსირებული განაკვეთის მქონე მიღებული სესხები და კრედიტორული დავალიანებები შესაფასებელი სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალი დადისკონტირებული ფულადი სახსრების გაანგარიშებას, ფულად ბაზარზე ანალოგიური საკრედიტო რისკისა და დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტებისათვის განკუთვნილი, საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად.

20 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების გაჭვითვა

ჩვეულებრივი საქმიანობისას ორგანიზაცია ასრულებს სხვადასხვა ოპერაციებს ფინანსური ინსტრუმენტებით, რომლებიც შესაძლოა წარმოდგენილი იყოს წმინდა ღირებულებით, მხოლოდ იმ შემთხვევებში როდესაც არსებობს კანონიერი უფლება ასახული სახსრების ურთიერთჩათვლისათვის, ასევე არსებობს განზრახვა განხორციელდეს ურთიერთჩათვლა ან აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა განხორციელდეს ერთდროულად.

2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ორგანიზაციას არ გააჩნია ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან წმინდა ღირებულებით, ან ხდება მათი ურთიერთგაჭვითვა გენერალური ან ანალოგიური შეთანხმებების არსებობის საფუძველზე.

21 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს საბალანსო ღირებულებებით მათი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით.

31 დეკემბერი 2016

ლარი	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	სულ 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტ	სულ 12 თვეზე მეტი	სულ
აქტივები								
ფული და ფულის ექვივალენტები	34,453	-	-	34,453	-	-	-	34,453
კლიენტებზე გაცემული სესხები	73,668	129,497	85,519	288,684	1,073,903	-	1,073,903	1,362,587
სხვა დებიტორები	26,728	-	-	26,728	-	-	-	26,728
	<u>134,848</u>	<u>129,497</u>	<u>85,519</u>	<u>349,865</u>	<u>1,073,903</u>	<u>-</u>	<u>1,073,903</u>	<u>1,423,767</u>
ვალდებულებები								
მიღებული სესხები	920,347	565,092	2,085,371	3,570,810	-	-	-	3,570,810
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,455	-	-	2,455	-	-	-	2,455
	<u>922,802</u>	<u>565,092</u>	<u>2,085,371</u>	<u>3,573,265</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>3,573,265</u>
ლიკვიდურობის წმინდა სხვაობა	<u>(787,954)</u>	<u>(435,595)</u>	<u>(1,999,852)</u>	<u>(3,223,400)</u>	<u>1,073,903</u>	<u>-</u>	<u>1,073,903</u>	<u>(2,149,497)</u>
ლიკვიდურობის ჯამური სხვაობა	<u>(787,954)</u>	<u>(1,223,549)</u>	<u>(3,223,400)</u>		<u>(2,149,497)</u>	<u>(2,149,497)</u>		

31 დეკემბერი 2015

ლარი	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	სულ 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტ	სულ 12 თვეზე მეტი	სულ
აქტივები								
ფული და ფულის ექვივალენტები	85,152	-	-	85,152	-	-	-	85,152
კლიენტებზე გაცემული სესხები	70,842	88,029	107,069	265,940	1,217,510	-	1,217,510	1,483,450
სხვა დებიტორები	-	-	-	-	-	-	-	-
	<u>155,994</u>	<u>88,029</u>	<u>107,069</u>	<u>351,092</u>	<u>1,217,510</u>	<u>-</u>	<u>1,217,510</u>	<u>1,568,602</u>
ვალდებულებები								
მიღებული სესხები	935,198	367,261	2,133,990	3,436,449	-	-	-	3,436,449
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	-	-
	<u>935,198</u>	<u>367,261</u>	<u>2,133,990</u>	<u>3,436,449</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>3,436,449</u>
ლიკვიდურობის წმინდა სხვაობა	<u>(779,204)</u>	<u>(279,232)</u>	<u>(2,026,921)</u>	<u>(3,085,357)</u>	<u>1,217,510</u>	<u>-</u>	<u>1,217,510</u>	<u>(1,867,847)</u>
ლიკვიდურობის ჯამური სხვაობა	<u>(779,204)</u>	<u>(1,058,435)</u>	<u>(3,085,357)</u>		<u>(1,867,847)</u>	<u>(1,867,847)</u>		

22 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანია დგას სხვადასხვა ფინანსური რისკის წინაშე. აღნიშნული საქმიანობა მოიცავს რისკების ან რისკების კომბინაციის ანალიზს, შეფასებას, მიღებასა და მართვას განსაზღვრული ხარისხით. კომპანიის მიერ რისკების მართვა, შეფასება და დაკვირვება, ასევე რისკებზე ლიმიტის დაწესება და სხვა შიდა კონტროლის განსაზღვრა წარმოადგენს მუდმივ პროცესს. რისკების მართვის პროცესს გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა კომპანიის სტაბილური რენტაბელობის შენარჩუნებისათვის და თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია მის საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებზე. კომპანია დგას საოპერაციო, საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკის წინაშე, რომელიც თავის მხრივ იყოფა სავაჭრო და არასავაჭრო ოპერაციებთან დაკავშირებულ რისკებად. რისკების დამოუკიდებელი კონტროლის პროცესი არ მოიცავს ისეთ რისკებს, როგორცაა ცვლილებები ბიზნეს გარემოში, ტექნოლოგიებსა და ინდუსტრიაში. მსგავსი რისკები კონტროლირდება კომპანიის მიერ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.

რისკების მართვის სტრუქტურა

რისკების აღმოჩენასა და კონტროლზე პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორი.

რისკის შემცირება

კომპანია საკრედიტო რისკების შესამცირებლად აქტიურად იყენებს სესხების უზრუნველყოფის პოლიტიკას (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ).

გარდა ამისა, ლიკვიდურობის რისკის ასაცილებლად, კომპანია აფორმებს ისეთ სასესხო ხელშეკრულებას რომელიც მოიცავს, სესხის დაფარვის ყოველთვიურ გრაფიკს, რომლის მიხედვითაც მსესხებელი ვალდებულია დაფაროს სესხი შესაბამისი მოთხოვნის მიღების შემდგომ.

22.1 საკრედიტო რისკი

კომპანია დგას საკრედიტო რისკის წინაშე, რაც გულისხმობს მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას დათქმულ ვადაში. აღნიშნული რისკი კომპანიისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რისკს რის გამოც მენეჯმენტი სიფრთხილით ეკიდება მის მართვას. საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოიქმნება დაკრედიტების პროცესში. კრედიტებისა გაცემის შედეგად კომპანიის აქტივების პორტფელში ჩნდება სასესხო ინსტრუმენტები.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც არ მოიცავს ნებისმიერ უზრუნველყოფასა და გარანტიას, ყველაზე კარგად წარმოაჩენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

22.1.1 რისკების კონცენტრაცია

გეოგრაფიული სეგმენტი

2016 და 2015 წლებისათვის, კომპანიის ყველა ოპერაცია ხორციელდებოდა საქართველოში და ყველა ფინანსური აქტივი საქართველოშია.

22.1.2 რისკების შეზღუდვები კონტროლზე და შეზღუდვების პოლიტიკა

კომპანია ახდენს საკრედიტო რისკის კონტროლს ერთ მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე ლიმიტების დაწესების გზით. კომპანია ახორციელებს აღნიშნული რისკის მუდმივ მონიტორინგს, ახდენს მათ ყოველწლიურ ან უფრო ხშირ გადაფასებას საჭიროებიდან გამომდინარე.

საკრედიტო რისკის წარმოქმნის შესაძლებლობა იმართება, არსებული და პოტენციური მსესხებლის გადახდისუნარიანობის მუდმივი ანალიზის გამოყენებით, ასევე აუცილებლობის შემთხვევაში გაცემული სესხის ლიმიტების შეცვლის საშუალებით.

ქვემოთ მოცემულია რისკის შემცირების სხვადასხვა ხერხები.

უზრუნველყოფა

კომპანია იყენებს საკრედიტო რისკების შემცირების სხვადასხვა მეთოდებს. ყველაზე ტრადიციული და აპრობირებული გზა საკრედიტო რისკის შესამცირებლად არის სესხის უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია პოლიტიკა მისთვის მისაღები უზრუნველყოფის ტიპებისა და საკრედიტო რისკის შემცირების შესახებ. გაცემული სესხების პორტფელის ანალიზი უზრუნველყოფის სახეების მიხედვით შემდეგია:

ლარი	2016 წლის 31 დეკემბერი
უძრავი ქონებით დატვირთული სესხები	646,766
ძვირფასი ლითონები და მათი ნაკეთობები	66,770
ავტომობილები	36,876
სხვა უზრუნველყოფა	190,980
თავდებობა	210,525
არაუზრუნველყოფილი სესხები	210,670
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	1,362,587

22.1.3 გაუფასურება და რეზერვირების პოლიტიკა

სესხის გაუფასურების შეფასებისას მთავარი ფაქტორებია: სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის დაფარვის ვადაგადაცილება, (დაუყოვნებლივ, გადახდის თარიღის მომდევნო დღეს), მისაღები ფულადი ნაკადების შეფერხებები, თავდაპირველი ხელშეკრულების პირობების დარღვევა. კომპანია ახდენს გაუფასურების შეფასებას ინდივიდუალური და ჯგუფური მიდგომის გამოყენებით.

გაუფასურების ინდივიდუალური მეთოდი

კომპანია განსაზღვრავს არსებითი სესხების გაუფასურებას ინდივიდუალური მეთოდით. გაუფასურების დადგენისას კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: მსესხებლის უნარს გადალახოს ფინანსური სიძნელეები მათი წარმოქმნის შემთხვევაში, მოსალოდნელი შემოსავლები, ალტერნატიული ფინანსური წყაროების ოდენობა, უზრუნველყოფის სარეალიზაციო ღირებულება და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ვადები. საკრედიტო დანაკარგები ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც განუსაზღვრელი გარემოებები ითხოვს უფრო მეტ ყურადღებას.

გაუფასურების ჯგუფური მეთოდი

გაუფასურების ჯგუფური რეზერვი ფორმირდება როგორც არაარსებითი სესხების დანაკარგებისათვის, ასევე გაუფასურების ობიექტური ნიშნების არმქონე არსებითი სესხებისა. საკრედიტო დანაკარგები ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის ცალ-ცალკე ჯგუფების მიხედვით.

საკრედიტო პორტფელის ჯგუფური გაუფასურება მოიცავს ისეთ დანაკარგებს, რომელთათვისაც ჯერ კიდევ არ არსებობს გაუფასურების საკმარისი მტკიცებულება ინდივიდუალური შეფასებისთვის. გაუფასურების გაანგარიშებისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: პორტფელის ისტორიული დანაკარგები, მიმდინარე ეკონომიკური პირობები, დროის მიახლოებითი მონაკვეთი საკრედიტო დანაკარგის გამოჩენასა და მის ინდივიდუალურად გაუფასურებას შორის, გაუფასურების შემთხვევაში მოსალოდნელი გადახდები.

ვადაგადაცილებული მაგრამ არაგაუფასურებული სესხები

ვადაგადაცილებული, მაგრამ არაგაუფასურებულ სესხებად ითვლებიან ისეთი სესხები, რომელთა ვადაგადაცილებული დღეები ძალიან ცოტაა და ამავე დროს მენეჯმენტს აქვს საკმარისი ინფორმაცია მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაზე და დარწმუნებულია, რომ მსესხებელი არსებულ ვალდებულებას დაფარავს არსებული პირობების სრული დაცვით ძალიან მოკლე ვადაში (რამოდენიმე დღეში).

22.2 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, როცა სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები სწრაფად იცვლება გამოდინარე იქიდან, რომ ბაზარზე სწრაფად იცვლება საპროცენტო განაკვეთი ან უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსი. კომპანია აკეთებს საბაზრო რისკების კლასიფიკაციას, როგორც სავაჭრო მნიშვნელობის, ასევე არასავაჭრო მნიშვნელობის რისკებს. 2014-2015 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანია არ ფლობს სავაჭრო პორტფელს. არასავაჭრო პოზიციის მქონე რისკების მართვისა და კონტროლისათვის კომპანია იყენებს მგრძობელობის ანალიზს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ უცხოური ვალუტების კურსების ცვლილების შედეგად კომპანია განიცდის ფინანსურ ზარალს. შემდეგი ცხრილი აჩვენებს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს საანგარიშგებო თარიღისათვის ვალუტების მიხედვით. ცხრილში თანხები წარმოდგენილია ლარში, შესაბამისი თარიღისათვის ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით.

ლარი				31 დეკემბერი, 2016
	ლარი	დოლარი	ფუნტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4,804	29,647	-	34,452
კლიენტებზე გაცემული სესხები	84,057	1,241,653	36,877	1,362,587
სხვა დებიტორები	26,728	-	-	26,728
	<u>115,589</u>	<u>1,271,301</u>	<u>36,877</u>	<u>1,423,766</u>
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	10,000	1,931,860	1,628,950	3,570,810
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-
	<u>10,000</u>	<u>1,931,860</u>	<u>1,628,950</u>	<u>3,570,810</u>
სავალუტო პოზიცია	<u>105,589</u>	<u>(660,559)</u>	<u>(1,592,073)</u>	(2,147,043)
ლარი				31 დეკემბერი, 2015
	ლარი	დოლარი	ფუნტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	13,624	71,528	-	85,152
კლიენტებზე გაცემული სესხები	78,344	1,301,356	103,750	1,483,450
სხვა დებიტორები	21,477	-	-	21,477
	<u>113,444</u>	<u>1,372,884</u>	<u>103,750</u>	<u>1,590,079</u>
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	30,000	1,631,849	1,774,600	3,436,449
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-
	<u>30,000</u>	<u>1,631,849</u>	<u>1,774,600</u>	<u>3,436,449</u>
სავალუტო პოზიცია	<u>83,444</u>	<u>(258,965)</u>	<u>(1,670,850)</u>	(1,846,370)

შემდეგი ცხრილები ასახავს დოლარისა და ფუნტის კურსების შესაძლო 10%-იანი ცვლილების შესაძლო გავლენას კომპანიის მოგება-ზარალზე 2016 და 2015 წლების მონაცემებით:

2016			
ვალუტა	გაცვლითი კურსის ცვლილება %	ეფექტი მოგებაზე	გადასანადების გადახდამდე ლარი
აშშ დოლარი	+10		(66,056)
აშშ დოლარი	-10		66,056
ფუნტი	+10		(159,207)
ფუნტი	-10		159,207

2015			
ვალუტა	გაცვლითი კურსის ცვლილება %	ეფექტი მოგებაზე	გადასანადების გადახდამდე ლარი
აშშ დოლარი	+10		(25,896)
აშშ დოლარი	-10		25,896
ფუნტი	+10		(167,085)
ფუნტი	-10		167,085

22.3 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი განისაზღვრება როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ვალდებულებების შესრულების დროს კომპანია შესაძლოა წააწყდეს სირთულეებს, როგორც ჩვეულებრივ, ასევე სტრესულ პირობებში. იმისათვის, რომ კომპანიამ შეამციროს ეს რისკი, ხელმძღვანელობა აფასებს კომპანიის ლიკვიდურობას, რაშიც მოიაზრება მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზი ყოველდღიური გათვლებით. გათვლებში ასევე ითვალისწინება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასება და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის არსებობა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებულ იქნას დამატებითი ფინანსირების მისაღებად.

ლიკვიდურობის პოზიციის შეფასება და მართვა ხდება სხვადასხვა გზებით, სადაც დიდი ყურადღება ენიჭება ისეთ სტრესულ ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია, როგორც მთლიან ბაზართან, ასევე კომპანიასთან.

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი არადისკონტირებული საკონტრაქტო ფულადი ნაკადებისთვის ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში:

31 დეკემბერი 2016 წელი ლარი	1-დან	3-დან	6-დან	სულ 1 წლამდე	1-დან	5 წელზე	სულ
	3 თვემდე	6 თვემდე	12 თვემდე		5 წლამდე	მეტი	
მიღებული სესხები	920,347	565,092	2,085,371	3,570,810	-	-	3,570,810
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,455	-	-	2,455	-	-	2,455
	922,802	565,092	2,085,371	3,573,265	-	-	3,573,265

31 დეკემბერი 2015 წელი ლარი	1-დან	3-დან	6-დან	სულ 1 წლამდე	1-დან	5 წელზე	სულ
	3 თვემდე	6 თვემდე	12 თვემდე		5 წლამდე	მეტი	
მიღებული სესხები	935,198	367,261	2,133,990	3,436,449	-	-	3,436,449
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	-
	935,198	367,261	2,133,990	3,436,449	-	-	3,436,449

წარმოდგენილი ანალიზის მიზნებისათვის, ვალდებულება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას მოთხოვნისთანავე, კლასიფიცირდება 1 თვემდე ვადიანობაში, იმ ვარაუდზე დაყრდნობით, რომ გადახდა მოითხოვება დაუყოვნებლივ.

22.4 საოპერაციო რისკი

ოპერაციული რისკი, წარმოადგენს პირდაპირი ან ირიბი დანაკარგების რისკს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ფინანსური ინსტრუმენტებისგან, მიმდინარე პროცესებისგან, კომპანიის პერსონალისგან, ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული პრობლემებისგან. ოპერაციული რისკი ასევე მოიცავს გარე ფაქტორებსაც, როგორცაა საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და კანონმდებლობის ცვლილებისგან გამომწვეული რისკები.

რეპუტაციის შესანარჩუნებლად და შესაბამისად ფინანსური ეფექტურობის მისაღწევად კომპანიის მიზანს წარმოადგენს ოპერაციული რისკების იმგვარი მართვა, რომ მოხდეს ფინანსური დანაკარგებისა და ზიანის თავიდან აცილების დაბალანსება.

საოპერაციო რისკის შემუშავებასა და კონტროლის განხორციელებაზე ძირითადად პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორი. ეს პასუხისმგებლობა გულისხმობს რისკების კონტროლს და დაგეგმვას შემდეგნაირად:

- ვალდებულებების შესაბამისი გადანაწილების მოთხოვნა, მათ შორის ოპერაციების ავტორიზაცია;
- ოპერაციების მონიტორინგი და მათი შესაბამისობა;
- კანონმდებლობის და სხვა ნორმატიული მოთხოვნების შესრულება, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის შიდა კონტროლის სისტემის მინიმალური მოთხოვნების დაცვა;
- პროცედურებისა და კონტროლის დოკუმენტირება;
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასებისას გამოვლენილ რისკებზე ადეკვატური კონტროლისა და პროცედურების ჩატარების მოთხოვნა;
- ოპერაციული დანაკარგების აღრიცხვისა და მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭირო ზომების მოთხოვნა;
- გეგმის შემუშავება გაუთვალისწინებელი გარემოებებისათვის;
- პერსონალის განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- საქმიანი და ეთიკური სტანდარტები, და
- რისკების შემცირება.

23 კაპიტალის ადეკვატურობა

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მინიმალური კაპიტალი უნდა შეადგენდეს 250,000 ლარს.

კომპანია იცავს კაპიტალის დადგენილ სტრუქტურას. კაპიტალის მართვის ძირითად მიზნებს, საქმიანობის განხორციელებისა და აქციონერთა სარგებლის მაქსიმიზაციისათვის, წარმოადგენს კომპანიის შესაბამისობა შიდა მოთხოვნებთან და კაპიტალთან მიმართებაში, ასევე კომპანიის მიერ მყარი საკრედიტო რეიტინგისა და კაპიტალის დადებითი მაჩვენებლის შენარჩუნება.

24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, 2017 წლის 28 აპრილს, დამფუძნებლისგან ნასესხები სახსრების ნაწილი, კერძოდ 784,607 ლარი (317,000 აშშ დოლარი) გადარეკლასიფიცირდა კომპანიის საწესდებო კაპიტალში.

ამის შემდეგ, 2017 წლის 3 მაისიდან 2017 წლის 17 ოქტომბრამდე პერიოდში რამოდენიმე საფეხურად კომპანიის საწესდებო კაპიტალი დამატებით გაიზარდა 804,961 ლარით.

შედეგად, ამ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,922,168 ლარს და დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით კომპანიის კაპიტალი კიდევ 260,000 აშშ დოლარით უნდა გაიზარდოს.

დამფუძნებლების სესხების ნაწილის საწესდებო კაპიტალად კონვერტაციასთან და საწესდებო კაპიტალში დამატებით შენატანებთან დაკავშირებული შეთანხმების საფუძველზე შეიცვალა დამფუძნებლების წილობრივი მონაწილეობაც კომპანიაში და 2017 წლის 21 აპრილს რეგისტრირებული ცვლილების მიხედვით დამფუძნებლები კომპანიაში ფლობენ შემდეგ წილებს: მარტინ ედვარდ ფოუფი - 70%; აბესალომ შავგულიძე - 20%; ვახტანგ ჩიქოვანი - 10%.



Grant Thornton

www.grantthornton.ge